ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2406295

ნომერი: AR1373016

თარიღი : 25.01.2016

გაცემის თარიღი : 28.01.2016

გაცნობის თარიღი : 28.01.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი III , N71 , (ნაკვეთი 01/017) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ნადირაშვილი პ/ნ 57001005842
- თბილისი ალ.მირცხულავას ქ. N 6 ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

იმ შემთხვევაში თუ კონდენციონერის გარე აგრეგატების განთავსება იგეგმება საპროექტო ფოტომონტაჟზე ასახულ ყველა ფართზე, საჭიროა წარმოადგინოთ უკლებლივე ყველა ფართის (რომელზეც ეწყობა აგრეგატი) ამონაწერი წილობრივი მონაცემებით (არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი მესაკუთრეების მინდობილობები ან შპს "M2 ნუცუბიძეზე"-ს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის - ემზარ ოთხოზორიას მინდობილობა გაცემული თქვენ სახელზე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონდენციონერის გარე აგრეგატის განთავსება ხორციელდება მხოლოდ ერთი ფართის ფასადზე, საჭიროა საპროექტო ფოტომონტაჟზე მონიშნოთ აღნიშნული ფართი და წარმოადგინოთ მისი საჯარო რეესტრის ამონაწერი წილობრივი მონაცემებით, ასეთ შემთხვევაში გათვალისწინეთ, რომ განცხადებით სამსახურს უნდა მომართოს ფართის მესაკუთრემ ან მისმა მინდობილმა პირმა.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.